საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 04/1209-15

"30" 06 2015 წ.

შპს „სტერეო+"-ს

გაცნობებთ, რომ საქართველოს კომუნიკიციების ეროვნულ კომისიაში მიმდინარეობს პერმანენტული მონიტორინგი თქვენს მულტიპლექსპლატფორმაში განთავსებულ სამაუწყებლო არხებზე.

თქვენს 2015 წლის 16 მაისის განცხადებაში (თან ერთვის) გამოქვეყნებულია იმ მაუწყებელთა ჩამონათვალი, რომლებმაც თქვენი შეფასებით დააკმაყოფილეს ყველა კრიტერიუმი მულტიპლექსპლატფორმაში განთავსებებისათვის. აღნიშნულ ჩამონათვალში წარმოდგენილია სამაუწყებლო არხი RBG-იც (შპს „რ.ბ.ჯ").

გაცნობებთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია <u>ყოველკვირეულად გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს მომდევნო კვირის პროგრამების განრიგი</u>, პროგრამების დასახელებისა და მოკლე ანოტაციის მითითებით, ამავე პუნქტის ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია კომისიას წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ავტორიზაციით განსაზღვრული საქმიანობის დაწყებამდე <u>10 დღით ადრე კომისიისთვის მის მიერ მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამების გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა</u>.

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „რ.ბ.ჯ"-ს მიერ კომისიაში ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია დღემდე წარმოდგენილი არ არის, კომისიამ შპს „რ.ბ.ჯ"-სგან გამოითხოვა შესაბამისი დოკუმეტნაცია და ამ ეტაპზე მიმდინარეობს კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესწავლა/ანალიზი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის პრევენციულად თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ არ დადგეს თქვენი, როგორც მულტიპლექსპლატფორმის მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხიც, გთხოვთ, თავი შეიკავოთ შპს „რ.ბ.ჯ"-ს მიერ მოწოდებული სიგნალის გავრცელებისაგან, მანამ სანამ არ იქნება კომისიის მხრიდან ზემოაღნიშნული შესწავლა/ანალიზის პროცესი დასრულებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ მონიტორინგის შედეგების თაობაზე წერილობით გაცნობებთ დაუყონებლივ.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge